14/09/2022

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მისასალმებელი სიტყვა მსოფლიო და ტრადიციული რელიგიის ლიდერთა VII სხდომის მონაწილეთადმი (13-14 სექტემბერი, 2022)

თქვენო აღმატებულებავ, ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტო, ბატონო კასიმ-ჟომარტ ტოკაევ,

თქვენო აღმატებულებავ, ყაზახეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის თავმჯდომარევ, ბატონო მაულენ საგატხანული აშიმბაევ,

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ასტანისა და ყაზახეთის მიტროპოლიტო ალექსანდრე,

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით გულითადად მივესალმები ყველა მონაწილეს ამ ყრილობისა, რომელიც განიხილავს მეტად მნიშვნელოვან საკითხს, – პოსტპანდემიურ პერიოდში მსოფლიო და ტრადიციულ რელიგიათა ლიდერების როლს კაცობრიობის სულიერ და სოციალურ განვითარებაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სეკულარიზაციისა და აპოსტასიის ჩვენს დროში მრავალი პრობლემა დაგროვდა და ჭეშმარიტებისა და ზნეობის წინააღმდეგ

ბრძოლამაც ახალი სიმწვავე შეიძინა.

სეკულარიზაციის მომხრეებმა წინ წამოწიეს მორალისაგან დაცლილი, ცრუ თავისუფლების იდეა და წამოაყენეს პრინციპი ყოველივეს დაშვებულობისა: რაც მსურს, – ბუნებრივია, შესაძლებელი და მისაღები.

ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნის მომავალ თაობას, უყალიბებს რა მათ ცრუ ორიენტირებს, ფსევდო ღირებულებებსა და ლოიალურ დამოკიდებულებას უმძიმესი ცოდვებისადმი, რასაც შედეგად მოჰყვება აღქმის დაკარგვა ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ცხოვრების ჭეშმარიტი აზრის შესახებ.

ყოველივე ამას დაემატა პანდემია, რომელმაც მასობრივი შიში დანერგა და ერთმანეთს დააშორა როგორც ქვეყნები, ისე ცალკეული პიროვნებები.

მსოფლიო საზოგადოებაში შიშს თესავს უკრაინაში განვითარებული საომარი მოქმედებები, რაც სერიოზული გამოწვევაა მთელი მსოფლიოსათვის.

საერთოდაც, განცდაა იმისა, რომ აღმოვჩნდით სიტუაციაში, სადაც არავინ იცის, რა იქნება ხვალ.

პოსტპანდემიური სიძნელეების დაძლევა, ომში დაზარალებულთა შესაძლებლობისამებრ დახმარება და ლოცვა მშვიდობისათვის, – ჩვენი მოვალეობაა. ამასთან, სასულიერო პირები შესაძლებლობისამებრ უნდა დაეხმარონ ადამიანებს, სხვადასხვა განსაცდელისადმი შიშის დაძლევაში.

ჭეშმარიტი ღვთის რწმენა და მისი გზით სვლა ათავისუფლებს პიროვნებას, საზოგადოებას ყოველგვარი ფობიისგან და აღავსებს მათ გულებს მშვიდობით, გამბედაობით, ვაჟკაცობით, სიყვარულით, ერთგულებითა და სხვებისთვის ცხოვრების სურვილით.

ეს სულის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც შიშს აღარ ძალუძს დაგვძლიოს და დაარღვიოს ჩვენი შინაგანი სამყარო, ჩვენი სულიერი სიმშვიდე.

ეს რეალობა უნდა იპოვოს ადამიანმა. ეს არის ჩვენი ცხოვრების მთავარი მიზანი!

ვიმედოვნებთ, სხდომის მუშაობა ხელს შეუწყობს რელიგიათშორის დიალოგსა და მშვიდობას, რელიგიისა და კულტურის ურთიერთპატივისცემით თანაარსებობას და შექმნის პირობებს საერთო ძალისხმევით სულიერი ღირებულებების დაცვისთვის.

მადლობას ვუხდი ამ შეხვედრის ორგანიზატორებს და ყველას გისურვებთ წარმატებებს თქვენს ღვთივსათნო საქმიანობაში!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,

მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

0114, თბილისი, მეფე ეკლესიე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378, 2989540

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378, 2989540

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II- ის
მისასალმებელი სიტყვა მსოფლიო და ტრადიციული რელიგიის
ლიდერთა VII სხდომის მონაწილეთადმი

(13-14 სექტემბერი, 2022)

თქვენო აღმატებულებავ,
ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტო,
ბატონო კასიმ-ჟომარტ ტოკაევ,

თქვენო აღმატებულებავ,
ყაზახეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის თავმჯდომარევ,
ბატონო მაულენ საგატხანული აშიმბაევ,

თქვენო მაღალყოვლადუსამრვდელოესობავ,
ასტანისა და ყაზახეთის მიტროპოლიტო ალექსანდრე,

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით გულითადად მივესალმები ყველა მონაწილეს ამ ყრილობისა, რომელიც განიხილავს მეტად მნიშვნელოვან საკითხს, - პოსტპანდემიურ პერიოდში მსოფლიო და ტრადიციულ რელიგიათა ლიდერების როლს კაეობრიობის სულიერ და სოციალურ განვითარებაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სეკულარიზაციისა და აპოსტასიის ჩვენს დროში მრავალი პრობლემა დაგროვდა და ჭეშმარიტებისა და ზნეობის წინააღმდეგ ბრძოლამაც ახალი სიმწვავე შეიძინა.

სეკულარიზაციის მომხრეებმა წინ წამოწიეს მორალისაგან დაცლილი, ცრუ თავისუფლების იდეა და წამოაყენეს პრინციპი ყოველივეს დაშვებულობისა: რაც მსურს, - ბუნებრივია, შესაძლებელი და მისაღები.

ქრისტიანულ ეკლესიებსა და ეროვნულ ეკლესიებს, რომელიც თავადვე ადგენენ ქრისტიანული ეკლესიებისა და ეროვნული ეკლესიების ჭეშმარიტ თავისუფლებისა და ცხოვრების ჭეშმარიტ აზრის შესახებ.

ყოველივე ამას დაემატა პანდემია, რომელმაც მასობრივი შიში დანერგა და ერთმანეთს დააშორა როგორც ქვეყნები, ისე ცალკეული პიროვნებები.

მსოფლიო საზოგადოებაში შიმს თესავს უკრაინაში განვითარებული საომარი მოქმედებები, რაც სერიოზული გამოწვევაა მთელი მსოფლიოსათვის.

საერთოდაც, განცდაა იმისა, რომ აღმოვჩნდით სიტუაციაში, სადაც არავინ იცის, რა იქნება ხვალ.

პოსტპანდემიური სიძნელეების დაძლევა, ომში დაზარალებულთა შესაძლებლობისამებრ დახმარება და ლოცვა მშვიდობისათვის, – ჩვენი მოვალეობაა. ამასთან, სასულიერო პირები შესაძლებლობისამებრ უნდა დაეხმარონ ადამიანებს, სხვადასხვა განსაცდელისადმი შიშის დაძლევაში.

ჭეშმარიტი ღვთის რწმენა და მისი გზით სვლა ათავისუფლებს პიროვნებას, საზოგადოებას ყოველგვარი ფობიისგან და აღავსებს მათ გულებს მშვიდობით, გამბედაობით, ვაჟკაცობით, სიყვარულით, ერთგულებითა და სხვებისთვის ცხოვრების სურვილით.

ეს სულის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც შიშს აღარ ძალუძს დაგვძლიოს და დაარღვიოს ჩვენი მინაგანი სამყარო, ჩვენი სულიერი სიმშვიდე.

ეს რეალობა უნდა იპოვოს ადამიანმა. ეს არის ჩვენი ცხოვრების მთავარი მიზანი!

ვიმედოვნებთ, სხდომის მუშაობა ხელს შეუწყობს რელიგიათშორის დიალოგსა და მშვიდობას, რელიგიისა და კულტურის ურთიერთპატივისცემით თანაარსებობას და შექმნის პირობებს საერთო ძალისხმევით სულიერი ღირებულებების დაცვისთვის.

მადლობას ვუხდი ამ მეხვედრის ორგანიზატორებს და ყველას გისურვებთ წარმატებებს თქვენს ღვთივსათნო საქმიანობაში!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

Welcome Speech

Of the Catholicos Patriarch of All Georgia, His Holiness and Beatitude Ilia II

To the Participants of the 7th Session of the Leaders of World and Traditional Religions

(September 13-14, 2022)

Your Excellency, President of the Republic of Kazakhstan, Mr. Kassim-Jomart Tokayev,

Your Excellency, Chairman of the Senate of the Parliament of the Republic of Kazakhstan, Mr. Maulen Ashimbayev,

Your Eminence, Metropolitan Alexander of Astana and Kazakhstan,

On behalf of the Orthodox Church of Georgia, I cordially welcome all the participants of the Congress which discusses a very important issue - the role of the leaders of world and traditional religions in the spiritual and social development of humankind in the post-pandemic period.

It is a well known fact that many problems have accumulated during the period of secularization and apostasy, and the strife against Truth and morality has acquired new intensity as well.

The proponents of secularization have proposed an idea of false freedom, which is devoid of morality; they have put forward the principle of permissibility of everything: whatever I want is natural, possible and acceptable.

Such an attitude creates an acute danger for the next generation, forming false orientations, pseudo-values and a loyal attitude to the gravest sin, which will result in the undoing of the true freedom and the loss of perception of the true meaning of life.

All this was exacerbated by the pandemic, which induced mass fear and separated both countries and individuals from each other.

The hostilities in Ukraine sow fear in the world society, which is a serious challenge for the entire world.

In general, there prevails a feeling that we have found ourselves in a situation where no one knows what will happen tomorrow.

To overcome post-pandemic difficulties, to help the victims of the war within our possibility and to pray for peace – all these are our duty. Apart from it, clergy, within their possibility, should help people overcome their fear of various trials.

Faith in the True God and walking in His Path bring genuine freedom to an individual, free people from phobias and fill their hearts with peace, courage, bravery, love, loyalty and with a desire to dedicate their lives to others.

It is the state of the soul, when fear can no longer prevail over us, disturbing our inner world and peace of mind.

This reality is to be found by man. This is the main purpose of our life!

We hope that the work of the session will promote inter-religious dialogue, peace, and coexistence of religion and culture, with mutual respect, and will create conditions for common efforts to protect spiritual values.

I extend my gratitude to those who have organized this meeting, and I wish you all success in your God-pleasing work.

Catholicos-Patriarch of All Georgia,

Archbishop of Mtskheta and Tbilisi and

Metropolitan of Bitchvinta and Tskhum-Apkhazeti

patriarchate.ge